ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1323031001**
თარიღი:**31/01/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა ინასარიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ'' ქვეპუნქტის, 40-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე'' ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. 2021 წლის მოწვევის ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' პროპორციული სიით) გოჩა ინასარიძეს შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2022 წლის 25 დეკემბრიდან (საფუძველი: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის 17 იანვრის N1 დასკვნა).

2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნოს N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.№60Ბ.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი